

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. აპლიკანტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- ფლობდეს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს;
- ჰქონდეს ინგლისური ენის ცოდნა - B2 დონე, რომლის დასადასტურებლად, აპლიკანტმა უნდა ჩააბაროს მისაღები გამოცდა სტუ-ს საგამოცდო ცენტრში ან წარმოადგინოს შესაბამისი საერთაშორისო (აღიარებული) სერტიფიკატი. აპლიკანტს, რომელსაც უმაღლესი განათლება მიღებული აქვს ინგლისურ ენაზე, სერტიფიკატის წარმოდგენა ან გამოცდის ჩაბარება არ მოეთხოვება.

პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა უნდა წარმოადგინოს კვლევითი პროექტი, სადაც გამოიკვეთება აპლიკანტის კვლევის მიზანი და მიმართულება.

ჩარიცხვის მსურველებმა უნდა გაიარონ გასაუბრება საფაკულტეტო დროებით კომისიასთან, რომელსაც ყოველწლიურად ამტკიცებს სტუ-ს აკადემიური საბჭო.

აპლიკანტთა შერჩევის დროს მხედველობაში მიიღება: სამეცნიერო პუბლიკაციების არსებობა, სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა, სასწავლო/კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები და მასალები (სერტიფიკატები, სიგელები, პატენტები და ა.შ.)

დოქტორანტურაში მიღების წესი და ჩარიცხვის პირობები დეტალურად არის გაწერილი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულებაში, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე:

[chrome-extension://efaidnbnmnnibpcajpcgclefindmkaj/https://gtu.ge/pdf/phd-debuleba2.pdf](https://gtu.ge/pdf/phd-debuleba2.pdf)

პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

პროგრამის მიზანია:

პროგრამის მიზანია შესძინოს კურდამთავრებულს ინოვაციებისა და ოპერაციათა მენეჯმენტის სფეროში პრაქტიკული და კვლევითი საქმიანობის, ინოვაციური კვლევის შედეგების კომერციალიზაციისა და ტექნოლოგიური ტრანსფერის მნიშვნელობის გაცნობიერებით ახალი ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული პროდუქტის, მომსახურების

და/ან პროცესის შექმნაზე ორიენტირებული პროექტების მენეჯმენტის, აგრეთვე უახლეს ცოდნაზე დაფუძნებული პედაგოგიური საქმიანობის უნარი.

სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და პროფესიული)

1. აქვს ინოვაციებისა და ოპერაციათა მენეჯმენტის სფეროში უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რაც კვლევის და/ან საქმიანობის სფეროს სისტემური და კრიტიკული გააზრებისა და არსებული ცოდნის განვითარების საშუალებას იძლევა ინტერდისციპლინურ კონტექსტში;
2. დამოუკიდებლად გეგმავს და ახორციელებს არსებული ცოდნის გაუმჯობესებაზე ან ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებულ კვლევებს ინოვაციებისა და ოპერაციათა მენეჯმენტის სფეროში, თანამედროვე კვლევის მეთოდების გამოყენებით, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით.
3. ინოვაციური ცოდნისა და მიდგომების მნიშვნელობის გაცნობიერებით, შეუძლია არსებული მონაცემების და ემპირიული გამოცდილების ხელახალი გააზრება, ანალიზი და სინთეზი, საჭიროების შემთხვევაში მისი გადაფასება/განახლება.
4. თანამედროვე სამეცნიერო-ტექნოლოგიური მიღწევების ტექნოლოგიური ტრანსფერის პოტენციალის შეფასებისა და ანალიზის საფუძველზე, ახორციელებს ინოვაციური პროდუქტის, მომსახურების და/ან პროცესის შექმნაზე ორიენტირებული პროექტების მენეჯმენტს.
5. სათანადო აკადემიური დასაბუთების სტილით და თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით წარმოაჩენს ინოვაციურ პროექტებს, სამეცნიერო მიგნებებსა და შესაძლებლობებს ინოვაციებისა და ოპერაციათა მენეჯმენტის სფეროში, სამიზნე აუდიტორიის გონივრული ინტერესის დაცვით;
6. სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობაში ხელმძღვანელობს აკადემიური და პროფესიული ეთიკის დაცვით.

შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით.

სასწავლო კომპონენტის შეფასება:

დადებითი შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - 91-100 ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - 81-90 ქულა;
- (C) - კარგი - 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩააბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

- (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი/კომპონენტების შეფასება:

- ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი-91-100 ქულა;
- ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივადემატება - 81-90 ქულა;
- გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება - 71-80 ქულა;
- დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს - 61-70 ქულა;
- ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს - 51-60 ქულა;
- ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს - 41-50 ქულა;
- ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს - 40 ქულა და ნაკლები.

არადამაკმაყოფილებელი (insufficient) შეფასების მიღების შემთხვევაში სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კოლეგია განუსაზღვრავს დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის პირობებსა და ვადებს (სტატუსის შენარჩუნებით), ხოლო სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) შეფასების ან განმეორებით „არადამაკმაყოფილებელი“ შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იმავე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასება ხდება ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით.

სასწავლო კურსების ჩამონათვალი კრედიტების მითითებით

№	სასწავლო კურსი	კრედიტი
1	სწავლების მეთოდები	5
2	ევროკავშირის ინოვაციური პოლიტიკა	5
3	თანამედროვე ტენდენციები საწარმოთა მართვაში	5
4	აკადემიური და სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა B	5
5	თემატური სემინარი	10
6	ბიზნესის პროცესული ორგანიზება	5
7	ინტელექტუალური საკუთრების მენეჯმენტი	5
8	პროფესორის ასისტენტობა	5
9	ინოვაციური ტექნოლოგიების ბაზრის კვლევის მეთოდები	5
10	ინოვაციური ტექნოლოგიების კომერციალიზაცია	5
	არჩევითი სასწავლო კურსები	
11	კიბერ და ინფორმაციული უსაფრთხოება	5
12	სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დაგეგმვა და განხორციელება	

13	გარემოსდაცვითი ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიები	
	სულ სასწავლო კომპონენტი	60